პიონერი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 10 (290) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 26 მაისი

ვიცხოვროთ,
ვიშრომოთ
და
ვისწავლოთ
ილიჩისებურად!



ნახევარი საშკაშნის ჭაბუკი

ვიონერი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მკვლევარს, ახლის დამწყებს, მეკვლეს. სამშობლოს ბედნიერ მომავალს უზრუნველყოფს მისი ახლის დამწყებისა და მეკვლის განათლება, შრომისმოყვარეობა, ჯანმრთელობა და წინაპართა, მამა-პაპათა კეთილი საქმისა თუ საფლავების არდავიწყება. არარა არის ის, ვინც მარტოოდენ წარსულით ცხოვრობს, უძლეველია — ვინც აწმყოსთან ჭიდილსა და გამარჯვებებში თავისი ახალი თაობის ნათელ მომავალს ჭედავს ვაჟკაცური მარჯვენითა და ნათელი გონებით მოპოვებული მშვიდობით, შთაგონებული შრომით და დაუღალავი კაცურ-კაცობით. ღირსეულ წინაპართა პატივისცემა არ უნდა ჩრდილავდეს აწმყოთი სუნთქვას და მომავლისათვის მგზნებარე შემართებას. ერისა და მამულის მაჩანჩალაა, ვინც წარსულის ხოტბით აბრუებს, აყვინთებს და აქსუებს თავის მონაგარს.

დიდმა ლენინმა რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში ითავა ჩვენი მომავლის — ბავშვის მორალურ და ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნვა. ბავშვთა მასობრივ კომუნისტურ მოძრაობას 1921 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესმა ჩაუყარა საფუძველი, ხოლო 1922 წელს ლენინური კომკავშირი პარტიის დავალებით ჩვენს ქვეყანაში იწყებს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომელთა საქმიანობას უმთავრეს ლოზუნგად დაედო ლენინის მოწოდება — სწავლა, სწავლა და სწავლა. მას აქეთ ჩვენი პარტიისა და ხალხის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ნორჩი თაობის, ჩვენი დიადი ქვეყნის მომავლის აღზრდის საქმე.

1921 წლის თებერვლიდან ქართველი ერის ისტორიაში დაიწყო ჩვენი ბიჭებისა და გოგონების ბედნიერი მერმისისათვის ყოველდღიური, მამაშვილური ფიქრი და ზრუნვა. თუ მე-13 საუკუნის დასაწყისიდან ქართველთა მიწაზე სისხლის გუბეები არა შრებოდა, ჩვენი ეროვნული საფუძვლის — ოჯახური კერის — გადამბუგავი კვამლი არ ნელდებოდა, ქართველ დედებს თვალზე ცრემლი არ უშრებოდათ, აღმოსავლურ ბაზრებზე ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები არ ილეოდნენ, მომხდურ დამრბევართა იმპერიების სადიდებლად საქართველო თავის სისხლ-ხორცს იღებდა მსხვერპლად, ავბედობის ხუთსაუკუნოვანი ჭირ-ვარამის შედეგად კი ერის ფიზიკური ყოფა-არყოფნის სადარდებელი გულს უდაღავდა სამშობლოს მაშინდელ მოთავეებს, მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე ჩვენს მიწაზე კერის გადაბუგვას, დედების ცრემლს ბოლო მოეღო. დიახ, საუკუნეების მანძილზე გაუთავებელი შემუსვრების შედეგად ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცდა ქართველთა ერთიანი სახელმწიფო, დაკნინდა ეკონომიკა, დაეცა კულტურა და რაც ყველაზე საშინელი იყო, კატასტროფულად მცირდებოდა მოსახლეობა. 1770 წლის ცნობებით ქართლისა და კახეთის მთელი მოსახლეობა 65 ათას კომლს შეადგენდა, ხოლო 1795 წელს ერეკლე II-ის მიერ ერის კონსოლიდაციის მიზნით თავდაცვითი ომების გადახდის შემდეგ მოსახლეობის რიცხვი დაეცა 35 ათას კომლამდე, ე. ი. თითქმის განახევრდა.

ამ პირობებში, რასაკვირველია, ლაპარაკი აღარ იყო მომავალ თაობათა ფიზიკური და ინტელექტუალური აღზრდის შესახებ; ერისკაცთა საზრუნავს შეადგენდა შთამომავლობის ფიზიკურად შენარჩუნება და გადარჩენა, ფიზიკური განადგურებისაგან ერის ხსნა, რისთვისაც უპირველესად საჭირო იყო ქვეყნის შიგნით არსებულ ძალთა თავმოყრა და საგარეო პოლიტიკაში უტყუარი ორიენტაციის გამომუშავება — გარეშე ძალთა დაუხმარებლად ერი კატასტროფულ მდგომარეობას თავს ვერ აღწევდა...

...და იძალა ერეკლე II-ის მკლავმა და სიბრძნემ. ერთმორწმუნე რუსეთმა იხსნა ქართველი ხალხი, დააყენა პროგრესის გზას, შეწყდა ჩვენი მამულის დარბევა, სახლ-კარის აწიოკება-გადაბუგვა, ქართველი გლეხი უთოფოდ გავიდა სახნავსა თუ სამკალში, ნელ-ნელა გაიხსნა სკოლები, ქართველები სწავლის მისაღებად რუსეთში და ევროპაში გავიდნენ. აღორძინების გზას დაადგა დაკნინებული ეროვნული კულტურა და ეკონომიკა...

1917 წლის ოქტომბერმა ძირს დასცა რუსეთის იმპერია, 1921 წლის თებერვალმა თავფურცელი გადაშალა ქართველი ერის ისტორიაში — დაიწყო ახალი ერა, ერა მომძლავრებისა, ამაღლებისა, აყვავებისა და გაფურჩქვნისა. დადგა ჟამი თაობათა მომრავლებისა, პროგრესისა და განათლებისა. მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა, განათდა სოფელი, აშენდა ქალაქები, გაიხსნა სკოლები, კლუბები, იმრავლა კულტურამ. ბედნიერებამ დაანათა ჩვენს ბავშვებს.

მეფის ნაცვლის ყოფილი სასახლე სამამულო ომის წინა დღეებში ჩვენი ნორჩი თაობის — პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლედ იქცა. მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა ძმობის არმიამ ცეცხლი და ნაღმი ჩვენს მიწაზე არ შემოუშვა, ბარბაროსებისათვის სელუყოფლად დასტოვა ჩვენი კერები, სოფლები და ქალაქები. ბავშვები იზრდებოდნენ, ბიჭები ვაჟკაცდებოდნენ, გოგონები დედები ხდებოდნენ. პიონერია თაობებს უზრდიდა სამშობლოს, ბავშვები ჰოსპიტლებს დასთათანებდნენ — დაჭრილები ბავშვებს შეჰხაროდნენ. პიონერები ფრონტისათვის აგროვებდნენ ყველაფერს, მამები და პაპები იცავდნენ შვილებსა და შვილიშვილებს. იმ ჟამიან წლებშიც კი იდგა თბილი მამაშვილობა — ჩვენი ურყევი ხალხისა და ქვეყნის უმთავრესი და უსპეტაკესი სიწმინდე.

ის იყო ჩვენი ზღვისპირეთი საფრთხისაგან დაიზღვა, რომ 1944 წლის იანვარში, მაშინ, როცა ევროპას საბჭოთა ჯარი აზანზარებდა, ქობულეთის პარტიულმა ორგანიზაციამ მამური თადარიგი დაიჭირა — გახსნა ქობულეთის პიონერთა გამაჯანსაღებელი ბანაკი — ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობის ომისდროინდელი პირველი კერა. პარტია იმ მძიმე დღეებშიც ლენინურად, მამურად ზრუნავდა ბავშვებზე. საქართველომ დედა-შვილურად შეიხიზნა ძმური ხალხების დაობლებული ბავშვები, ომისდროინდელი ლუკმა უწილა, ქართველური მასპინძლობით რომ იყო მადლმოსილი. ომში გასული ყოველი მესამე ვაჟკაცი დაეცა ბრძოლის ველზე და სამშობლომ ობლობა არ აგრძნობინა მათ მონაგარს.

1945 წლის 9 მაისს დაიწყო მშვიდობის დიდი ეპოქა, საბჭოთა ძლევამოსილებით გარანტირებული ეპოქა, მომავალი თაობის, ჩვენი მარად ჭაბუკი პიონერიის ბედნიერების წრთობის ეპოქა. და საბჭოთა საქართველომ ბავშვის ზრუნვა-პატრონობის, აღზრდის საქმე კვლავაც პირველ საქმედ დაისახა. აშენდა უამრავი სკოლები, ინტერნატები, საბავშვო ბაღები, ბაგები, ბავშვთა სანატორიუმები და ბანაკები, სტადიონები და ტურისტული ბაზები, მოეწყო საბავშვო მოედნები, დარბაზები, თეატრები, სახლები და სასახლეები. 1971-1972 სასწავლო წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საუკეთესოდ მოწყობილ 4.521 სკოლაში 1.000.045 ბედნიერი მოსწავლე სწავლობს, რომლებზეც ქართველი ხალხი წელს ხარჯავს 418 მილიონ 188 ათას მანეთს, რაც რესპუბლიკის ბიუჯეტის 28,5 პროცენტს შეადგენს. საქართველოს მთავრობამ ბავშვთა აღზრდა-მოვლის საქმეს ომის დამთავრების შემდეგ დღეგრძელამდე ახარჯა 4 მილიარდი 977 მილიონი და 973 ათასი მანეთი!

ძვირფასო თანამემამულენო! დაე ყველამ იცოდეს აწ და მარადის, რომ ჩვენს ბავშვებს, ალისფერყელსახვევიან გოგონებსა და ბიჭებს, ჩვენი ერის წმიდათა-წმიდა მომავალს, საქართველოს კომუნისტური პარტია ზრდის სამშობლოს პიონერებად, დიადი საბჭოთა ქვეყნის დიადი საქმეების მიკვლევებად, ერისა და ჩვენეული, ლენინური ერთა ძმობის სასიქადულო შვილებად, სამშობლოს ბედნიერების მჭედლებად, რომლებიც დავაჟკაცებასა და დადობაშიც ისევე მგზნებარედ უპასუხებენ დიადი ქვეყნის ყველა მოწოდებას, რაგორადაც დღეს პასუხობენ — „მზად ვარო!“

წარსული საუკუნეებს ჩაჰბარდა დაუბრუნებლად, პიონერია ჩვენი ერისა და ქვეყნის სასიქადულო მომავალია!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლენინის ანდერძის სულისკვეთებით ბავშვთა აღზრდაში გაწეული დიდი მუშაობისათვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1972 წლის 18 მაისი.

პიონერია — 50

19 მაისს პიონერულ ორგანიზაციას 50 წელი შეუსრულდა და კიდევ ერთმა იუბილემ, წითელყელსახვევიანი გოგონებისა და ბიჭუნების დღესასწაულმა შემოაბიჯა ჩვენს მიწაზე.

სახელოვან დღესასწაულს — პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო საბჭოების სხვეში სხდომა, რომელიც 18 მაისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

ნორჩი მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს — პიონერული მოძრაობის ვეტერანებს, ძველ ბოლშევიკებს, პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს, მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლებს, საზოგადო მოღვაწეებს, წარმოების მოწინავეებს, მინდვრების მშრომელებს, მეცნიერებს, მწერლებს, მეომრებს. ამაგდარი ადამიანები სიტყვით გამოვიდნენ და მომავალ თაობას გულთბილად მიულოცეს დიდი ზეიმი.

19 მაისს კი, ისევე როგორც ყოველი წელიწადის ამ დღეს, დედაქალაქის ლენინის მოედანი კვლავ აფეთქებდა წითელი ყელსახვევებით, ალმებით, ყვავილებით. აქ გაიმართა ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პიონერთა საზეიმო აღლუმი და დემონსტრაცია.

ნორჩების ამ ზეიმებში მონაწილეობდნენ: მიხეილ გოგიჩაიშვილი, ალემსი ინაური, შალვა კიკნაძე, ოთარ ლოლაშვილი, პეტრე მელნიკოვი, ნიკოლოზ ცხაკაია, შოთა ჭანუყვაძე, როინ მეტრეველი, თემო შარაზ მოსაშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ლღლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზინაიდა კვაჭაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შოთა ბუხრაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ია გამრეკელი, ნუგზარ ფოფხაძე, ნათელა ლაღიძე.

10 საათი და 30 წუთია. ბუკისა და დაფდაფის ხმებში მოედანზე მწყობრ მწკრივად შემოდიან მხარზე ალისფერწონარგადაკრული მედროშენი. ალმები უახლოვდება ზეიმის ცენტრს, ლენინის მოედანს. ბელადის ანდერძის ერთგულების ფიცს დებენ სამოცდაათიანი წლების პიონერები. ჟღერს ბეთჰოვენის „აპასიონატის“ საზეიმო მელოდია. საბჭოთა ხალხების ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი პიონერთა ჯგუფი ყვავილწნულებით ამკობს ლენინის ძეგლის კვარცხლბეკს. ხონარზე ყველა ენაზე წარწერილია სიტყვა „მშვიდობა“.

პიონერებს გულთბილად მიულოცა დიდი და ნათელი დღესასწაული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნათელა ლაღიძემ.

აღლუმზე პიონერული რაზმეულების მარშით შემოდიან საუკეთესო რაზმები — სრულიად საკავშირო მარშის „მუდამ მზად ვარ“ გამარჯვებულნი, შრომითი რეზერვების, ნორჩი ქვეითი ჯარისკაცების, მფრინავებისა და სანიტარული რაზმელების ნაკრები კოლონები.

...ყაყაჩოები, გვირილები, მოდიან ფერად კოსტიუმებში გამოწყობილი რაზმელები, ნორჩი მეზღვაურები, ფოლადის ფერის მუზარადიანი კოსმონავტები, ავიამოდელისტები.

ნორჩი ტანმოვარჯიშენი გვიჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას, ასობით ბავშვი ზუსტად, ლამაზად და მწყობრად ასრულებს სპორტულ ვარჯიშებს.

თბილისის სკოლებში, ბაღებსა და პარკებში — ყველგან დიდხანს გაისმოდა მხიარული პიონერული სიმღერები, ბავშვების ხალისიანი ხმები.

საღამოს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში დაინთო დიდი პიონერული კოცონი.

იენელთა საჩუქარი

იენელმა მეგობრებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ძვირფასი საჩუქარი გამოუგზავნეს — კარლ მარქსის სადოქტორო დისერტაცია, რაც ამ ადამიანის მდიდარი ფილოსოფიური მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

იენის უნივერსიტეტი ყოველთვის ამაყობს იმით, რომ კარლ მარქსმა აქ წარადგინა თავისი სადისერტაციო ნაშრომი. და არა ბერლინის ან ბონის უნივერსიტეტში, სადაც იგი სწავლობდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ სწორედ იენაში მოღვაწეობდნენ დემოკრატიული სულისკვეთების მეცნიერები, ცნობილი ფილოსოფოსი ფრიზი, მარქსის მეგობარი ბერლინის „დოქტორთა კლუბიდან“ ვოლფი და სხვები. იენაში მოღვაწეობდა ავრეთვე ჰაინრიხ ჰაინე და „ახალგაზრდა გერმანიის“ სხვა წარმომადგენლები.

20 წლის კარლ მარქსმა ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1841 წლის 6 აპრილს, იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე გაგზავნა სადოქტორო დისერტაცია — „განსხვავება დემოკრიტესა და ეპიკურეს ბატურფილოსოფიას შორის“. შრომაში გატარებული იყო ჰეგელიანური იდეალისტური თვალსაზრისი. დისერტაციის დაცვა მოეწყო 13 აპრილს ავტორის დაუსწრებლად. ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ბაბმანმა, რომელიც თვითონ ჰეგელის მოწინააღმდეგე და ქრისტიანული განწყობილების მეცნიერი იყო, ფაკულტეტზე საქმის არსის გაცნობის დროს კარლ მარქსის პიროვნება წარმოადგინა როგორც „განსაკუთრებულად ღირსეული კანდიდატისა“, მისი შრომა კი დიდი გონიერებისა და ღრმა აზროვნების მაჩვენებლად.

კარლ მარქსის სადისერტაციო ნაშრომის ზუსტი გერმანული ტექსტი თავისი კომენტარებითა და დისერტაციის დაცვის საარქივო დოკუმენტებითურთ თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდის დიდი შენაძენია. ეს მასალა ფრიად შეუწყობს ხელს ჩვენთან მარქსის მეცნიერული მემკვიდრეობის კვლევის მეტი სიზუსტით წარმართვის საქმეს. ნაშრომი დაეხმარება ავრეთვე ანტიკური ეპოქის კულტურის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის მკვლევარებს როგორც განვითარების ზოგადი კანონზომიერების, ისე სპეციფიკური თავისებურების განსაზღვრაში.

პირველი ხარისხის ორდენი ნიკოლოზ მუსხელიშვილს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტს აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გადაეცა „კირილესა და მეთოდეს“ პირველი ხარისხის ორდენი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ხარისხის ორდენი.

დაიგეხდა კრაკაში

ჯრაღის გამომცემლობა „ობელისკმა“ ჩეხურ ენაზე გამოაქვეყნა შალვა ამირანაშვილის ნაშრომი — ალბომი „საქართველოს საგანძური“.

ალბომი იხსნება ვაცლავ ჩერნის შესავალი წერილით, რომელშიც ავტორი ჩეხ მკითხველებს მოკლედ და საინტერესოდ აცნობს საქართველოს ხელოვნების ისტორიას. კარგად გაფორმებულ ალბომს ამშვენებს კარლ მოიბერტის ფერადი ფოტოილუსტრაციები. ალბომში წარმოდგენილია საქართველოს მუზეუმებში დაცული ისტორიული რელიკვიების მცირე ნაწილი — ხელოვნების საგანძურის ასამდე ნიმუში. ბევრი მათგანი ამ უკანასკნელ წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხებში აღმოჩენილი ხელოვნების უძვირფასესი ნაწარმოებია. მათ შორის არის არმაზის ერისთავთა სამარხში აღმოჩენილი ქალის შუბლის ოქროს სამკაული მედალიონით, V საუკუნის ოქროს განძის რამდენიმე ნიმუში ახალგორიდან, საქართველოს კათალიკოსის პაპუა ბებურიშვილის ოქროს მიტრა მე-17 საუკუნისა, თამარ მეფის ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს ჯვარი, თრიალეთში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის თასები, ბექა და ბეშქენ ოპიზარების ოქრომჭედლობის ნიმუშები, განძეულობანი წყაროსთავიდან, მღვიმიდან, ჩხარიდან, ჭოროხიდან, გორისჯვრიდან, იშხანიდან და სხვა.

დამსაჯურებული ექიმები

მეცნიერების ყოველი დარგის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს მამულიშვილებსაც, რომელთა ღვაწლი დამსახურებულად არის აღიარებული როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრთა შორის მრავალ ქართველს შეხვდებით.

ამ ცოტა ხნის წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოვიდა ცნობა, რომ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი **აკაკი ურუშაძე,** პროფესორი **თინათინ ყაუხჩიშვილი,** დოცენტები **ალექსანდრე ალექსიძე, რისმაგ გორდეზიანი** და ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი **ირაკლი შენგელია** არჩეული არიან XVIII საუკუნის გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის იოჰან ვინკელმანის სახელობის საერთაშორისო საზოგადოების წევრებად.

ჩოჩიებმა დედა...

მე და ტაქსის მძღოლმა — კუკური შარაშიძემ მოვასწარით ერთმანეთის გაცნობა. იცის, კეთილი საქმის მახარობელი ვარ და სიხარულით მიიჩქარის დათქმული მისამართით, თითქოს უნდა თვითონაც იწილოსო ის სიხარული, რასაც წლების მანძილზე მოუთმენლად ელოდება სამი და...

მოვედით კიდეც — ავჭალის გზატკეცილი, 72. მაგრამ... თამარ ჩოჩია-გელაშვილი, ვისაც ვეძებ, აქ აღარ ცხოვრობს, გადასულა. სად? — არავინ იცის...

გულდაწყვეტილი ვბრუნდები... ტაქსის მძღოლი კი იმედს არ კარგავს.

— შეუძლებელია, არაფერი იცოდნენ. მოდით, სხვა კორპუსებშიც ვიკითხოთ.

ავჭალის დასახლებაზე მოვიკითხეთ ყველა ჩოჩია და გელაშვილი. ამაოდ.

— როგორ შეიძლება თბილისში კაცი დაიკარგოს, — მამშვიდებს პატივცემული კუკური. — აუცილებლად მივაგნებთ!

— ხვალ სამისამართო ბიუროს გკითხავ, სამივე დას მოვძებნი. სადარბაზოსთან ჩანთიდან ფულს ვიღებ.

— არავითარ შემთხვევაში, — ხელებს ასავსავებს მძღოლი. — ისეთი კეთილი საქმისათვის დაგატარებდით... მეც მინდა ჩემი წილი სიკეთე გავიღო!

რატომ ვეძებ ჩოჩიებს?

გაზეთ „სამშობლოს“ წლევანდელ პირველ ნომერში გამოქვეყნდა „წერილი რედაქციას“, რასაც დების — ქრისტინესა და ნადიას დავალებით ხელს აწერდა შუათანა — თამარ ჩოჩია-გელაშვილი და რომელშიც მოთხრობილი იყო ჩოჩიების ოჯახის ისტორია. მამა — ევგენი ჩოჩია 1926 წელს სასწავლებლად წასულა საფრანგეთში, ცოლად შეურთავს ჟორჟეტ სუშანა ბერლეტი. სამი ქალიშვილი შესძენიათ — ქრისტინე, თამარი და ნადია. შემდეგ მეუღლეებს უსიამოვნება მოსვლიათ და 1946 წელს მამა ქალიშვილებთან ერთად სამშობლოში დაბრუნებულა.

მას აქეთ დებმა არაფერი იციან დედის შესახებ. მამა არასოდეს არაფერს ამბობდა მასზე... ცდილობდა, დაევიწყებინათ გოგონებს დედა, მაგრამ...

„მამა ცოცხალი აღარ არის, — წერდა თავის წერილში თამარი. — იქნებ დედა მაინც იყოს სადმე. შვილების დედა ვარ და წარმომიდგენია, რას ნიშნავს გულიდან მოიწყვიტო პირმშო“...

თამარი თხოვდა გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს, დახმარებოდნენ დედის მოძებნაში.

და აი, 21 მაისს საფრანგეთიდან მივიღეთ წერილი:

„გავეცანი წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო თქვენს გაზეთში. დიდად დამავალებთ, თუ გადასცემთ ჩემს მისამართს ქალბატონ თამარ გელაშვილს, რომელიც ეძებს თავის დედას, რადგანაც ეს უკანასკნელი მე ვარ.

დიდი სიხარულით დავამყარებ კავშირს ჩემს გოგონებთან — ქრისტინე, თამარ და ნადიასთან. თუ შესაძლებელია, გადაეცით ჩემი მისამართი.

იმედს ვამყარებ რა თქვენს გულისხმიერებაზე, წინდაწინ გიხდით მადლობას.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი.

ჟ. ბერლეტი.

P. S. 2 მაისიდან 5 ოქტომბრამდე ვმუშაობ ხმელთაშუა ზღვაზე. გაძლევთ მისამართს, სადაც მე ვიქნები ამ 5 თვის განმავლობაში“.

დებმა ჩოჩიებმა იპოვეს დედა!

თამარი ხშირად გვაკითხავდა რედაქციაში, მაგრამ ბოლო ხანს, რატომღაც დაყოვნდა...

სამისამართო ბიუროში ნადიასა და ქრისტინეს მისამართის დადგენის შემდეგ კვლავ გავწიე საძებნელად. მეგზურად ამჯერად გაგ 08-72 ტაქსის მძღოლი მახლდა. არც მან გამოიჩინა ნაკლები მონდომება დების ძებნაში. მაგრამ... აღნიშნულ მისამართზეც ვერავინ ვიპოვეთ...

— ვის ეძებთ, შვილო? — მკითხა უცნობმა მოხუცმა ქალმა.

— დედა, აქ ჩოჩიებს უნდა ეცხოვრათ, დებს...

— ეგეთი არავინ გამიგონია.

— ერთ დას ქრისტინე ჰქვია...

— ქრისტინე? მერე ის ჩოჩია როდია, კალატოზიშვილია.

— სად ცხოვრობს? ან ჰყავს თუ არა და?

— როგორ არა, სამი დანი არიან, ერთს ნადია ჰქვია. ჰო, ქმარი ჰყავს კალატოზიშვილი, თვითონ იქნებ ჩოჩიაა, რა ვიცი...

გახარებული მივდივარ მინიშნებული სახლისკენ. კარში ჭაბუკი დგას, ღიმილით შემოგვცქერის. შინ მიგვიწვია. ზურიკოა, ქრისტინეს უფროსი ვაჟი.

— ბებია ცოცხალი ყოფილა, რა მოუვა დედას!

— წავიდეთ დედასთან, — ვთავაზობ ჭაბუკს.

ქრისტინე სამშობიარო სახლში მუშაობს თურმე. უყვარს ბავშვები და ახალდაბადებულთა განყოფილებას ვერ ვაცილებთო, მიყვება ზურიკო, გეოგრაფია-გეოლოგიის მესამე კურსის სტუდენტი.

— დედასთან მივიდეთ, მერე თამართან წამოგყვებით, ნიჩბისშიც წვალ, ნადია დედასაც ვახარებ...

...კიბის თავზე ქრისტინე გამოდის, ჩვენს დანახვაზე ფერი მისდის...

ვცნობი და წერილს ვაწვდი.

— რა? რა?... — მღელვარებისაგან ხმა უწყდება, ცრემლები ახრჩობს. ქალალდს ხელში ატრიალებს, ვერ კი კითხულობს...

— შენ წაიკითხე, შვილო...

ერთ წამში გაიგო ყველამ, ქრისტინეს დედა უპოვიაო. კიბის თავი ვერ იტევს მოზღვავებულ თვთრხალათიან ქალებს. ქრისტინე ტირის, სიცილი და ცრემლი ერთმანეთში ირევა.

თამარიც ვნახეთ...

„...დიდად დამავალებთ, თუ გადასცემთ ჩემს მისამართს ქალბატონ თამარ გელაშვილს, რომელიც ეძებს თავის დედას, რადგან ეს უკანასკნელი მე ვარ...“

— მე ვარ!.. დედა, დედა ცოცხალი ყოფილა! — თამარი კითხულობს, შან ქვითინებს. ცრემლს ვერ ვიკავებთ მე, ზურიკო, ტაქსის მძღოლი...

...ლილოდან უკან მოგვაქროლებს ტაქსი. რაღაცას გაუთავებლად მიყვება ზურიკო. უკვე ვიცი, რომ ქრისტინე ოთხი შვილის დედაა, თამარი სამისა და ნადია ორისა. ვიცი, სად შუშაობენ მათი ქმრები. შვილები, ალბათ, ყველაფერს დაწვრილებით მისწერენ დედას. ალბათ, აქეთაც მოიწვევენ დანატრებულ მშობელს...

დაე, ყველას ეპოვოს თავისი სისხლი და ხორცი, ვინც ჩვენი გაზეთის საშუალებით დაეძებს და მოელის...

ქალბატონო ჟორჟეტ! ამ გაზეთს შეიძლება თქვენი შვილების ბარათებმა მოასწრონ. თავიანთ ამბავს ისინი უკეთ მოგწერენ.

აი მათი მისამართებიც: თბილისი, გოგაშენის ქუჩა № 17, ქრისტინე ჩოჩია-კალატოზიშვილი; თბილისი, სადგური ლილო, რკინა-ბეტონის ქარხნის სახლი № 1, III სადარბაზო, თამარ ჩოჩია-გელაშვილი; მცხეთის რაიონი, სოფელი ნიჩბისი, ნადია ჩოჩია-მერაბიშვილი. ჩვენ გულითა და სულით ვუერთდებით თქვენსა და თქვენი შვილების სახარულს. გთხოვთ დიდი მადლობა გადასცეთ იმ ჩვენს თანამემამულეს (სამწუხაროდ, არ ვიცით მისი ვინაობა), რომელმაც მოგაწვდინათ გაზეთი „სამშობლო“ და დიდი როლი შეასრულა საქმის კეთილად დაგვირგვინებაში.

ლია მიქაძე

ლენინური პრემიის ლაურეატი



მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

გიორგი ძოწენიძე მოწაფეა ისეთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა, როგორიც არის აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე და იყო აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე.

გიორგი ძოწენიძე *პირველი ასპირანტი იყო მინერალოგიის და პეტროგრაფიის კათედრისა, რომელსაც ალექსანდრე თვალჭრელიძე ხელმძღვანელობდა. 30-იან წლებში საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებშიც — ურალზე, შუა აზიაში და სხვაგანაც — არსად მათ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა იმ ხანებში. გიორგი ძოწენიძემ მიზნად დაისახა ამ ძველი ვულკანოგენური წარმონაქმნების სპეციალური შესწავლა და, ამრიგად, საბჭოთა კავშირში პალეოვულკანოლოგიის პიონერი აღმოჩნდა. სწორედ ეს დარგი იქცა მისი მუშაობის ძირითად მიმართულებად.*

გიორგი ძოწენიძემ საფუძვლიანად შეისწავლა ძველი ვულკანოგენების გავრცელება სივრცესა და დროში, გამოავლინა საგულისხმო კანონზომიერებები. კერძოდ, დაადგინა, რომ ვულკანიზმის ევოლუცია სხვადასხვანაირად მიმდინარეობს სხვადასხვა ტექტონიკური ბუნების ტერიტორიაზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა აღმოჩნდა, ამის მეოხებით პალეოვულკანოლოგია ტექტონიკური კვლევის იარაღად იქცა. გიორგი ძოწენიძის დამსახურებას, და საერთოდ ამ დარგის მნიშვნელობას, ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ 1950 წელს მისი მონოგრაფია საქართველოს ძველი ვულკანოგენური წარმონაქმნების შესახებ — იმავე დროს მისი სადოქტორო დისერტაცია — აღინიშნა სახელმწიფო პრემიით. საყურადღებოა ისიც, რომ ამ მონოგრაფიამ ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირში პალეოვულკანოლოგიის განვითარებას — დღეს უკვე ძოწენიძისეული მიდგომით იკვლევენ ურალისა და შუა აზიის ვულკანოგენურ წარმონაქმნებს. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ტიპის მონოგრაფიები საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ ჯერ არ არსებობს.

გიორგი ძოწენიძე ინტენსიურად მუშაობს პალეოვულკანოლოგიის საკითხებზე. იგი ხელმძღვანელობს აკადემიის პალეოვულკანოლოგიის განყოფილებას. თუ აქამდე მას აინტერესებდა ვულკანიზმის და ტექტონიკის კავშირი, ახლა მან ყურადღება მიაქცია ვულკანიზმის კავშირს სხვა პროცესებთან. ერთი ამგვარი საკითხია ვულკანიზმისა და ნაოქმდაგრავების კავშირი. გიორგი ძოწენიძემ სათანადო არსებული მასალის გამოყენებით ახლებური გაშუქება მისცა ზოგიერთი საინტერესო დანალექი ქანის წარმოშობას ვულკანური პროცესების თავისებურებებიდან გამომდინარე — გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ვულკანიზმის პროდუქტები ხშირად ამოფრქვევის ცენტრებიდან ძლიერ შორს ილექებიან ზღვებში. ამ მექანიზმის გათვალისწინებას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გეოლოგიური წარსულისთვისაც და საშუალებას გვაძლევს ახსნა მოვუძებნოთ გარკვეული ნალექების წარმოშობას.

მეორე საკითხი — ვულკანიზმის და სასარგებლო წიაღისეულის გენეტური კავშირის პრობლემა, რომელიც დღესაც გიორგი ძოწენიძის ყურადღების ცენტრშია, უფრო მნიშვნელოვანია. ამ პრობლემის ირგვლივ გიორგი ძოწენიძემ დიდძალ მასალას მოუყარა თავი, გაუკეთა ღრმა მეცნიერული ანალიზი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გეოლოგიურად სხვადასხვა ასაკის მთელი რიგი საბადო, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის გარეთ, სწორედ ვულკანიზმთანაა გენეტურად დაკავშირებული. პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ გიორგი ძოწენიძეს აქაც მრავალი მიმდევარი აღმოუჩნდა, მათ შორის ცნობილი მეცნიერებიც. სულ ახლახან გიორგი ძოწენიძის ღვაწლი აღინიშნა ლენინური პრემიის მინიჭებით. საგულისხმოა, რომ მასთან ერთად ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭათ მოსკოველ მეცნიერებს, აკადემიკოს ვლადიმერ სმირნოვს და პროფესორ ვასილ კოტლიარს. პრემია მათ მიენიჭათ არა საერთო ნაშრომისათვის, არამედ დამოუკიდებელ ნაშრომთა კომპლექსისათვის, რაც პრობლემის უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

გიორგი ძოწენიძე მუდამ ახალი მიმართულებების ძიებაშია. მისი ღვაწლის დამადასტურებელია უმაღლესი სამეცნიერო წოდებები: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის (1950 წლიდან), აკადემიკოსის (1955 წლიდან) და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის (1969 წლიდან).

გიორგი ძოწენიძე არ იფარგლება მეცნიერული ინტერესებით, იგი შესანიშნავი ორგანიზატორი და სახელმწიფო მოღვაწეა.. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რიგი წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ აირჩიეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

წარმატებებს ვუსურვებთ სახელოვან მეცნიერსა და რესპუბლიკის პრეზიდენტს.

არჩილ ცაგარელი,
აკადემიკოსი.

აკადემიის ახალი პრეზიდენტი



როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, 3-4 მაისს თბილისში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

პირადი თხოვნით კრებამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობისაგან გაათავისუფლა აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი. ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ფარული კენჭისყრით აირჩია თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი ილია ვეკუა.

გთავაზობთ ახალი პრეზიდენტის ბიოგრაფიულ ცნობებს.

ილია ვეკუა დაიბადა 1907 წლის 23 აპრილს სოფელ შეშელეთში (ვალის რაიონი). საშუალო განათლება მიიღო ზუგდიდში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1933 წელს ლენინგრადში დაასრულა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა.

1933-1952 წლებში ილია ვეკუა მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იყო კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი. პარალელურად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნად და სხვა.

1952-1958 წლებში ვეკუა მუშაობს ქალაქ მოსკოვში, სადაც ინტენსიური სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზატორული საქმიანობა გაშალა. სხვადასხვა დროს იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ტექნიკისა და ზუსტი მექანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, სტეკლოვის სახელობის მათემატიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს წევრი.

1958 წელს ილია ვეკუა გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფთან ერთად სამუშაოდ გადადის ნოვოსიბირსკში. იგი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია (1958-1964 წლებში).

ნოვოსიბირსკშიც აკადემიკოსი ილია ვეკუა დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწევა. არის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის წევრი, ჰიდროდინამიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილების გამგე და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის მათემატიკური ფიზიკის კათედრის გამგე.

1964-1965 წლებში აკადემიკოსი ილია ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია, პარალელურად ხელმძღვანელობს ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მექანიკის სექტორსა და თბილისის უნივერსიტეტის კათედრას.

1965-დან 1972 წლის მაისამდე ილია ვეკუა რექტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, სადაც 1966 წელს აირსებს უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს. რომლის ხელმძღვანელია დღესაც.

აკადემიკოსი ილია ვეკუა სახელგანთქმული მეცნიერი-მათემატიკოსია. მისი მეცნიერული მოღვაწეობა მოიცავს მათემატიკისა და მექანიკის საკითხთა ფართო წრეს. საქვეყნოდ ცნობილია ილია ვეკუას ფუნდამენტური გამოკვლევები მათემატიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მისი მონოგრაფიები და სხვა სახის მეცნიერული შრომები თარგმნილია და გამოცემულია ბევრ უცხოურ ენაზე.

1963 წელს მონოგრაფიისათვის „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები" ილია ვეკუას მიენიჭა ლენინური პრემია, ადრე 1950 წელს მონოგრაფიისათვის „„ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები" — სახელმწიფო პრემია.

1946 წლიდან ილია ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. 1958 წელს მას ირჩევენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მომდევნო წლებში იგი აირჩიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა და აკადემიის უცხოელ წევრად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ჰალეში არსებული საბუნებისმეტყველო აკადემიის „ლეოპოლდინას" უცხოელ წევრად, პოლონეთის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის მეცნიერული საზოგადოების უცხოელ წევრად. იქნის უნივერსიტეტის საპატიო სენატორად.

უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში ილია ვეკუა მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო მეცნიერულ ფორუმში ჩვენს ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ. ამ ფორუმებზე — მათემატიკოსთა მეცნიერულ ყრილობებსა და კონფერენციებზე — იგი გამოდიოდა მოხსენებებით, ირჩევდნენ ხელმძღვანელ ორგანოებში.

დიდია ილია ვეკუას ღვაწლი მეცნიერულ-მათემატიკოსთა კადრების აღზრდაში. მისი პირადი ხელმძღვანელობით თუ მეცნიერული იდეებას ზეგავლენით აღიზარდა საბჭოთა სწავლულ-მათემატიკოსთა დიდი ჯგუფი და მრავალი უცხოელი მეცნიერი.

დიდი მაშტაბის მეცნიერულ, პედაგოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად მეტად მრავალფეროვანი და ფართოა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1970 წელს იგი მეორედ აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1968 წლიდან აკადემიკოსი ილია ვეკუა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრია.

აკადემიკოსი ილია ვეკუა დიდ მუშაობას ეწევა საზოგადოება „ცოდნაში", რომლის საკავშირო გამგეობის წევრია და თბილისის საქალაქო საზოგადოებას თავმჯდომარე.

აკადემიკოსი ილია ვეკუა მსოფლიო მშვიდობის დაცვის მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეა. იგი წევრია მშვიდობის დაცვას საბჭოთა კომიტეტისა და უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების „კავშირის პრეზიდიუმისა, თავმჯდომარეა საბჭოთა „კავშირ-საფრანგუთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებისა და სხვა.

1969 წელს აკადემიკოს ილია ვეკუას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. იგი არის ლენინის სამი ორდენისა და „საპატიო ნიშნის" ორდენის კავალერი და საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

საკაკტიო სტუმარი

საქართველოში 20-22 მაისს სტუმრად იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ანდორ ლასლო.

ანდორ ლასლო გაეცნო რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას, ესაუბრა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველს ვაჟა ჯინჯიხაძეს.

22 მაისს ანდორ ლასლო უნგრეთის ეროვნული ბანკის ვიცე-დირექტორის ანტონ ბესედეშის თანხლებით ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს შალვა კიკნაძეს. გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ვაჟა ჯინჯიხაძემ და სსრ კავშირის სახბანკის გამგეობის წევრმა, საგალუტო-ეკონომიური სამმართველოს უფროსმა მორსენმა.

საგჭოთა დელეგაცია აღენში

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ოთარ ჩერქეზია, დაიწყო მოლაპარაკება იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტისა და სახელმწიფოს წარმომადგენლებთან.

დელეგაცია შეხვდა აგრეთვე ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრს, საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგეს აილ სალემ ალ-ავჯარს.

შეხვედრის დროს განიხილეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტისა და დემოკრატიული იემენის მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის — ეროვნული ფრონტის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზები და საშუალებანი.

საუბარში მონაწილეობდა ეროვნული ფრონტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი აბდელ აზიზ ად-დალი.

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის დელეგაცია მიიღო იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ს. რუბეიამ.

საბჭოთა დელეგაცია შეხვდა აგრეთვე იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს ა. ნ. მუთამედს და საგარეო საქმეთა მინისტრს მ. ს. აულაკის.

ილხინე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული რესპუბლიკაა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — 15 თანასწორუფლებიან რესპუბლიკასთან ერთად გაერთიანებულია საბჭოთა კავშირში, რაც მრავალრიცხოვანი ერებისა და ეროვნებათა სახელმწიფებრივი გაერთიანების სრულიად ახალი ფორმაა. ამ თანასწორუფლებიან ხალხთა უძლეველი ნებაყოფლობითი კავშირის შექმნაში თავისი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ყველა ერმა და ეროვნებამ.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში, თავის ეროვნულ პოლიტიკას საფუძვლად დაუდო ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამის ძირითადი მოთხოვნები: ერთა თვითგამორკვევა თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე; ერთა თანასწორუფლებიანობა და სუვერენიტეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში; ეროვნული ჩაგვრისა და ხალხთა შორის უნდობლობის მოსპობა; სხვადასხვა ეროვნების მუშათა და მშრომელი გლეხობის შეკავშირება დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად; სოციალიზმის გზაზე დამდგარ ხალხთა პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო კავშირი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღიდანვე კომუნისტური პარტია პრაქტიკულად შეუდგა თავისი ეროვნული პროგრამის თანმიმდევრობით განხორციელებას, რისთვისაც შეიქმნა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი; 1917 წლის 15 ნოემბერს გამოქვეყნდა „რუსეთის ხალხთა უფლების დეკლარაცია“. რამაც სახელმწიფოებრივ კანონად აქცია პარტიის ეროვნული პროგრამის ძირითადი პრინციპები; 1918 წლის იანვარში საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობამ მიიღო „მშრომელ და ექსპლუატირებულ ხალხთა უფლების დეკლარაცია“ და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადა ფედერაციულ სახელმწიფოდ.

ამ პერიოდში საბჭოთა სოციალისტურ ეროვნულ რესპუბლიკებს საერთაშორისო და საშინაო მწვავე კლასობრივი ბრძოლის მძიმე პირობებში უხდებოდათ არსებობა. ამ ვითარებაში მათ იგრძნეს საბჭოთა რუსეთთან ფედერაციული კავშირის საწყისებზე გაერთიანების აუცილებლობა, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ხალხთა ნება-სურვილის საფუძველზე. დამოუკიდებელ რესპუბლიკათა შეიარაღებული ძალები გაერთიანდნენ ერთიან სამხედრო ორგანიზაციად. სამოქალაქო ომის ბოლოს კი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დამყარებული მჭიდრო ურთიერთობა განმტკიცდა სამხედრო და სამეურნეო თანამშრომლობის ხელშეკრულებებით, რომლებიც დაიდო რუსეთის რესპუბლიკასთან აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების მიერ.

1922 წლის ზაფხულიდან დაიწყო ფართო მოძრაობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გასაერთიანებლად. გაერთიანების აუცილებლობას კარნახობდა ის, რომ საბჭოთა რესპუბლიკები გარშემორტყმული იყვნენ მტრულად განწყობილი უფრო მძლავრი იმპერიალისტური სახელმწიფოებით, რაც საფრთხეს უქმნიდა მათ არსებობას. საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიური კავშირის გარეშე შეუძლებელი იყო დანგრეულ საწარმოო ძალთა აღდგენა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

ამიერკავკასიის საბჭოების პირკელმა ყრილობამ 1922 წლის 10 დეკემბერს დაადგინა: „რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთიანდებიან ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ სახელწოდებით, ამასთან თითოეულ რესპუბლიკას რჩება კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლება“.

სსრ კავშირის საბჭოების პირკელმა ყრილობამ 1922 წლის 30 დეკემბერს ეროსულოვნად დაამტკიცა დეკლარაცია და სამოკავშირეო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ და საძირკველი ჩაუყარა პირველ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

სსრ კავშირში შესვლის შემდეგ, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დარჩა სუვერენულ სახელმწიფოდ.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის კონსტიტუციური გარანტიებია ის, რომ მას აქვს გარკვეული ტერიტორია, რომლის შეცვლის უფლებაც საკავშირო სახელმწიფოს არა აქვს მისი თანხმობის გარეშე, ახორციელებს რა ტერიტორიულ უზენაესობას, საქართველოს რესპუბლიკა თვითონ აწესებს თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას მას უფლება აქვს შექმნას, გააერთიანოს და შეცვალოს მის შემადგენლობაში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, დააწესოს და შეცვალოს მათ შორის არსებული საზღვრები, სახელი შეუცვალოს მას და სხვა. მას აქვს თავისი გერბი, დროშა და ჰიმნი.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას აქვს თავისი მოქალაქეობა. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე შეიძლება იყოს ყველა საბჭოთა მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს მის ტერიტორიაზე. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ამავე დროს არის საბჭოთა კავშირის მოქალაქე.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აქვს კავშირიდან გასვლის უფლება, რომელიც ჩაწერილია კონსტიტუციაში და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სუვერენულ უფლებას. თუმცა საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ მანძილზე არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკას არ უცდია გამოეყენებინა ეს უფლება, რადგან მხოლოდ სსრ კავშირის შემადგენლობაში შეუძლია მას თავისი ნამდვილი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ყოველმხრივი განვითარება თავისი ეკონომიკისა და კულტურისა.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენული უფლების დამადასტურებელია მისი დამფუძნებელი ხელისუფლების არსებობა. მას აქვს თავისი კონსტიტუცია, საკუთარი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები. ყველა სახელმწიფო ორგანოს ფორმირება ხდება უმეტესად ადგილობრივი მოსახლეობისაგან, რომელთაც იციან ყოფა, ენა, ეროვნული თავისებურებანი. საქმის წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე — სახელმწიფო ენა ქართულია.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო — უმაღლესი საბჭო — შედგება ორი პალატისაგან: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან, რაც საშუალებას იძლევა სათანადოდ იყოს გათვალისწინებული არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა საერთო ინტერესები, არამედ თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის, თითოეული ერის სპეციფიკური ინტერესები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჩვეულებრივად ირჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ და განსაზღვრულ ვადებში ასრულებს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მოვალეობას.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას ჰყავს თავისი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირის მთავრობასა და უმაღლეს სასამართლოში. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში თანამდებობის მიხედვით შედის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას ჰყავს თავისი მუდმივი წარმომადგენლობა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში, რომელიც ახორციელებს რესპუბლიკის მმართველობის ორგანოების ყოველდღიურ კავშირს საბჭოთა კავშირის მთავრობასთან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის: რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმის დამტკიცება; რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება; სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და არასაგადასახადო შემოსავლების დამტკიცება; ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების, ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ხელმძღვანელობა; სახალხო სამეურნეო აღრიცხვის საქმის ხელმძღვანელობა; დაზღვევისა და შემნახველი საქმის ხელმძღვანელობა; რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ვაჭრობის საქმის მართვა, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობისა და მშენებლობათა ხელმძღვანელობა; საკავშირო დაქვემდებარების წარმოებების მდგომარეობასა და მართვაზე კონტროლი; მიწის, წიაღისეულის, ტყისა და წყლის სარგებლობაზე წესრიგის დამყარება; საბინაო და კომუნალური მეურნეობის, საბინაო მშენებლობის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის ხელმძღვანელობა, საგზაო მშენებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობა; ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ფიზკულტურისა და სპორტის საქმის ხელმძღვანელობა.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგში საქართველოს რესპუბლიკა ადგენს რესპუბლიკის კონსტიტუციას და აწესებს კონტროლს მის დაცვაზე; ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციასა და ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქის საზღვრებს; უზრუნველყოფს სახელმწიფო წესრიგსა და მოქალაქეთა უფლებათა დაცვას, ახორციელებს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მიერ მსჯავრდებული მოქალაქეების პატიებას და შეწყალებას; აქვს უფლება უშუალო ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში მითითებულია, რომ ის ახორციელებს რესპუბლიკურ კანონმდებლობას.

ეს არის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი ნიშნები, რომელიც ლაპარაკობს მის სუვერენიტეტზე.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფის ნათელი განსახიერებაა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. თუ რევოლუციამდე საქართველო ჩამორჩენილი გლეხური ქვეყანა იყო, საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობისა და მოწინავე კულტურის რესპუბლიკად.

საქართველოს სამრეწველო პროდუქციამ 1970 წელს 1913 წლის დონეს 85-ჯერ გადააჭარბა. ამჟამად რესპუბლიკაში ხუთი დღის განმავლობაში იმდენი სამრეწველო პროდუქცია იქმნება, რამდენიც რევოლუციამდე მთელი წლის განმავლობაში. რესპუბლიკაში შექმნილია შავი და ფერადი მეტალურგია, ჩარხმშენებლობის, საავტომობილო, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებლობის, ქვანახშირის, ქიმიური, საფეიქრო, კვების მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა 1.000-ზე მეტი კარგად აღჭურვილი მსხვილი სამრეწველო საწარმო.

დღევანდელ ინდუსტრიულ საქართველოს აქვს მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, რომელიც თითქმის მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. რესპუბლიკის თბო და ჰიდროელსადგურებმა 1970 წელს გამომუშავეს 9 მილიარდი კილოვატი ელექტროენერგია, რაც 453-ჯერ სჭარბობს 1913 წლის დონეს.

საქართველოში შექმნილია საკუთარი მეტალურგიული ბაზა; ეს არის: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა — ერთ-ერთი უდიდესი ფეროშენადნობთა ქარხანა სსრ კავშირში, რომელიც მაღალხარისხოვან მეტალურგიულ კონცენტრატს აწვდის სსრ კავშირის მთელ რიგ მეტალურგიულ ქარხნებს; რუსთავის მეტალურგიული ქარხანა — სსრ კავშირში ამ პროფილის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო, რომლის ფოლადი, შავი ლითონების ნაგლინი, ფოლადის მილები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მის გარეთაც. საქართველოში შექმნილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი საწარმოები.

საქართველოში შექმნილია ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა, წარმატებით ვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა.

საქართველოს სამრეწველო-ეკონომიურ განვითარებაზე მეტყველებს ისიც, რომ ჩვენში წინათ შემოჰქონდათ თითქმის ყველაფერი ნემსის ჩათვლით, დღეს რესპუბლიკას გააქვს უამრავი სახეობის სამრეწველო პროდუქცია რთული მანქანებისა და დანადგარების ჩათვლით მსოფლიოს 70 ქვეყანაში.

საქართველოს ინდუსტრიული განვითარების შედეგად გაიზარდა და განმტკიცდა მუშათა კლასისა და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის ეროვნული კადრები. 1970 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომობდა 1,5 მილიონი მუშა-მოსამსახურე. 1913 წელთან შედარებით სამრეწველო საწარმოო პერსონალის რიცხვი გაიზარდა 29-ჯერ. მარტო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პერსონალის რიცხვი სჭარბობს რევოლუციამდელი საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვს.

მძლავრ ინდუსტრიასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რაც შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარებით და რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შეიარაღებით. 1.260 კოლმეურნეობა და 231 საბჭოთა მეურნეობა — აი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი და მაღალმექანიზებული მსხვილი სოფლის მეურნეობის დღევანდელი სახე. სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 1970 წელს თითქმის 7-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს და შეადგინა ერთ მილიარდზე მეტი მანეთი (1965 წლის ფასებში).

საქართველოს მიწა დაფარულია ჩაის პლანტაციებით, ვენახით, ციტრუსების ნარგავებით, აყვავებული ბაღებით. ამჟამად საქართველოზე მოდის სსრ კავშირში წარმოებული ხარისხოვანი ჩაის ფოთლის 95 პროცენტი. საქართველო ციტრუსების ნაყოფის — მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ძირითადი მწარმოებელია; რესპუბლიკას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სამრეწველო ჯიშების ყურძნის, ხილის, აბრეშუმის პარკის, მაღალხარისხოვანი თამბაქოს, უთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების მოყვანაში.

წლითიწლობით იზრდება სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრე და მექანიზაციის დონე. ამჟამად ელექტრიფიცირებული და რადიოფიცირებულია ყველა საბჭოთა მეურნეობა და თითქმის ყველა კოლმეურნეობა. უდიდესი სამუშაოებია გაწეული მიწის რწყვისა და ჭაობების დაშრობისათვის. აშენებულია მსხვილი სარწყავი სისტემები. კოლხეთის დაშრობილი ჭაობების ადგილას გადაჭიმულია ათასობით ჰექტარი ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. სიცოცხლე დაუბრუნდა სამგორის მკვდარ მიწას.

სოფლის მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა კვალიფიციური კადრების მომზადება. 1970 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 13 ათასამდე ტრაქტორისტი-მემანქანე, კომბაინერი და 12 ათასი შოფერი, 11 ათასზე მეტი აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ვეტმუშაკი მუშაობდა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სახელები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოში დღეს 1.158 სოციალისტური შრომის გმირია.

საქართველოს აქვს თანამედროვე დონის სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო ერთიანი სატრანსპორტო სისტემა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატავს ეროვნული შემოსავალი. 1970 წელს მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებულმა ეროვნულმა შემოსავალმა 4,3 მილიარდი მანეთი შეადგინა, ანუ 914 მანეთი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. რესპუბლიკის 787 ათასი მოქალაქე იღებს მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიებს. პენსიას იღებს 300 ათასზე მეტი კოლმეურნე. რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობას იცავს 17,4 ათასი ექიმი და 42 ათასი საშუალო სამედიცინო განათლების მქონე მუშაკი. ყოველ 10 ათას კაცზე საქართველოში მოდის 37 ექიმი და ექიმების უზრუნველყოფით რესპუბლიკას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. საქართველოს დედაქალაქი თბილისი სსრ კავშირის ერთ-ერთი უდიდესი სამედიცინო ცენტრია. საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის უფლებას უზრუნველყოფს სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბაზებისა და სხვა ფართო ქსელი. საქართველომ ჭეშმარიტად მოიპოვა მსოფლიო ჯანმრთელობის კერის სახელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აყვავდა სახელოვანი ტრადიციების მქონე ქართველი ხალხის უძველესი და თვითმყოფადი კულტურა. თუ რევოლუციამდელ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ამჟამად საბჭოთა საქართველო მთლიანი წიგნიერების ქვეყანაა. ქართველი ხალხის განათლების საქმის სამსახურშია 4.521 ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და 100 სპეციალური საშუალო სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 1 მილიონ 100 ათასამდე მოსწავლე, 18 უმაღლესი სასწავლებელი 91 ათასი სტუდენტით. საქართველოს ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის 58 უმაღლესი და 382 საშუალო განათლების მქონე ადამიანი. რესპუბლიკას ამითაც პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. საქართველოში ყოველ ათი ათას მცხოვრებზე მოდის ორჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, თითქმის 3-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, ხუთჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში და 13-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა დოქტორმა იოზეფ კლაუსმა, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა სტუმრად, განაცხადა: „განცვიფრებული ვართ, რომ თქვენს პატარა რესპუბლიკაში ამდენი სპეციალისტი და ესოდენ ბევრი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ახალგაზრდობა სწავლობს. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ, შეგვიძლია ვისწავლოთ თქვენგან“.

საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს მათემატიკის, ფიზიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართულმა სკოლებმა. ამაზე ლაპარაკობენ ლენინური, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები, რომლებიც დაიმსახურეს ჩვენი მეცნიერების სამეცნიერო გამოკვლევებმა და აღმოჩენებმა.

განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ, მუსიკამ, მხატვრობამ, თეატრალურმა ხელოვნებამ, ქართველი ხალხის კულტურული წარსულის უდიდესი მიღწევები რომ შეისისხლხორცეს.

წარსულის ბედუკუღმართობისაგან განთავისუფლებულმა ქართველმა ხალხმა, რომელიც გაერთიანებულია სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, შექმნა თავისი სუვერენული საბჭოთა სახელმწიფო და თავისი გმირული, თავდადებული შრომის შედეგად საქართველო გადააქცია აყვავებულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. მისი გმირული გზა აღნიშნულია ლენინის ორი და ოქტომბრის რევოლუციის ერთი ორდენით. საქართველოში სტუმრად მყოფი ფრანგი ჟურნალისტი ჟილბერ ბლოკი წერდა: „...დღევანდელობის სასწაულს, გასაგებ სასწაულს წარმოადგენს ამ დიდებული ეროვნული კულტურის აღზევება სოციალისტური საზოგადოების ძმურ ოჯახში“.

მართლაც, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ესოდენ დიდი წარმატებების დაუშრეტელი წყარო იყო და არის საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი თანამეგობრობა.

ილია მირცხულავა,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ი ვ ე რ თ მ ხ ა რ ე ო !

საბჭოთა საქართველოს ექსპორტი

გაიმართა საქართველოს სავაჭრო პალატის წევრთა საერთო კრება. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელები, მსხვილ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა დირექტორები — პალატის წევრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შეკრებილთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **შალვა კიკნაძე.**


საანგარიშო მოხსენება 1969-1971 წლებში საქართველოს სავაჭრო პალატის საქმიანობის შესახებ გააკეთა მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **რაფიელ ელიგულაშვილმა.**

საქართველოს სავაჭრო პალატა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას. იგი აერთიანებს 150-ზე მეტ სამრეწველო საწარმოს, რომლებიც თავიანთ პროდუქციას გზავნიან საექსპორტოდ, მონაწილეობენ საზღვარგარეთ საბჭოთა გამოფენებისა და სსრ კავშირში, კერძოდ, საქართველოში საერთაშორისო დათვალიერებების მომზადებასა და წოწყობაში.

გასული წლის მანძილზე რესპუბლიკის დედაქალაქში მოეწყო 19 უცხოური გამოფენა. საქართველოს დამოუკიდებელი განყოფილებანი ჰქონდა იზმირში, პარიზში, თეირანში, ბაზელში, კაიროში გამართულ გამოფენებზე. საანგარიშო პერიოდის მანძილზე სავაჭრო პალატის მოწვევით რესპუბლიკაში იყო 30 ქვეყნის სამრეწველო და სავაჭრო ფირმების 1.500 წარმომადგენელი.

საგარეო ვაჭრობის განვითარების გარდა სავაჭრო პალატა აქტიურად უწყობდა ხელს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ბრეწველობაში, რის გამოც კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას ეწოდოს **საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატა.**

კრებამ აირჩია პალატის საბჭო, პრეზიდიუმი. რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია **რაფიელ ელიგულაშვილი,** რომლის წერილსაც ვათავსებთ ქვემოთ.



საჭაშნიკო

საქართველოს სსრ საგარეო ვაჭრობის რუკას თუ შეხედავთ, დანახავთ, რომ ჩვენს რესპუბლიკას მრავალი ისარი აერთებს დედამიწის ყველა კონტინენტის — ევროპისა და აზიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის სახელმწიფოებთან. მხოლოდ შორეული ანტარქტიდისაკენ არაა მიმართული ისარი, მაგრამ იქაც კი შეაღწია საქონელმა, რომელსაც აწერია — „დამზადებულია საქართველოში". ესაა არამატერიალური ქართული ჩაი, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, გამძლე ქსოვილი და ჩინებული ქართული ღვინო.

რესპუბლიკის პროდუქციამ კარგი გასაღება ჰპოვა მსოფლიო ბაზარზე, საბჭოთა საქართველომ სოლიდური სავაჭრო პარტნიორის, ხარისხიანი საქონლის მიმწოდებლის სახელი დაიმსახურა. ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ კი უცხოელები აქ მხრტოლდენ იმისათვის თუ მოდიოდნენ, რომ ეხილათ ხელუხლებელი სიძველენი, ეთნოგრაფიული ეგზოტიკა და შორეული წარსულის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი. მხოლოდ შინამრეწველური ხელოსნობის ჭეშმარიტ მოყვარულთა და დამფასებელთა შორის იყო განთქმული ქართველ ოსტატთა ნახელავი — შესანიშნავი იარაღი, ვერცხლის ნაკეთობანი, ნაბდები, ბეწვის ქუდები — ბოხოხები. საზღვარგარეთის ბევრი ფირმისა და კონცესიის წარმომადგენლები ეპოტინებოდნენ ქართულ მარგანეცს.

დღეს სოციალისტური საქართველო საექსპორტოდ გზავნის სამასზე მეტი დასახელების მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა პროდუქციას, მინერალურ ნედლეულს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, რასაც მსოფლიოს 67 ქვეყანა იძენს.

ჭიათურის მარგანეცი მსოფლიოს ბაზარზე წარმატებით უწევდა და უწევს კონკურენციას ინდოეთისა და ბრაზილიის მარგანეცს.

ზესტაფონის ქარხნის ქართული ფეროშენადნობი იგზავნება არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ფინეთში, ავსტრიაში, იტალიაში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში. მადნის ნაცვლად შენადნობის მიწოდება ზრდის ჩვენი ექსპორტის ეფექტიანობას.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ნაგლინი და მილები საქართველოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა. დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქცია — ფოლადის ნაგლინი, ნავთობსადენებისა და სხვა საჭიროებისათვის გათვალისწინებული მილები, ფოლადის მავთული და სხვა ნაკეთობანი — მნიშვნელოვან წილს შეადგენს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა განთქმულია მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით, რაც საექსპორტოდ იგზავნება კუბაში, საფრანგეთში, იაპონიაში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ისლანდიასა და სხვა სახელმწიფოებში.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა უშვებს ლითონსაჭრელ ჩარხებს, რომლებიც დიდი სიზუსტისა და საიმედო ხარისხით გაბედულად იკაფავენ გზას მსოფლიოს ბაზარზე. მათ მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყანა იძენს. აფრიკის სახელმწიფოებისათვის ქარხანა ამზადებს ტროპიკულ პირობებში სამუშაოდ გათვალისწინებულ სპეციალურ პროდუქციას. მსოფლიოს 15-ზე მეტი ქვეყანა ყიდულობს თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის პროდუქციას. იმპორტიორთა შორის არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, ინდოეთი, სირია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა.

კარგი სახელი მოიხვეჭა და მზარდი მოთხოვნილებით სარგებლობს კვების მრეწველობისა და მედვინეობის საწარმოთა მანქანები, ჩარხები და დანადგარები, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობა, ელექტროხელსაწყოები, არტეზიული ჭების ტუმბოები, მადნის გამოსაზიდი ელმავლები და მრავალი სხვა პროდუქცია, რასაც აწარმოებს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, ელექტრომემდუღებელი მოწყობილობის ქარხანა, „ელექტროავტომატი" და „ელექტროვიბრომანქანა", ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალისა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

მარილოს, არქიტექტურულ-დეკორაციული თვისებებით არ ჩამოუვარდება იტალიისა და საბერძნეთის მარმარილოს. ლოპოტის, შროშის, სალიეთის, მოლითის მარმარილოს იძენს უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იაპონია და სხვა ქვეყნები.

საქართველოს ექსპორტს კვლავ შემორჩა განთქმული შინამრეწველური და ხელოსნური შემოქმედების ნიმუშები, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, იაპონიაში შეხვდებით საქართველოში შექმნილ ჭედური ხელოვნების ნიმუშებს, ვერცხლეულს, ხალიჩებს. ამ საჭიროების წარმოების მიზნით შექმნილია სპეციალური გაერთიანება „სოლანი", რომელმაც პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ქართული ჩაი მაღალხარისხოვანი, არომატული და სასიამოვნო სასმელია. მსოფლიოს საერთაშორისო დეგუსტაციებზე საქართველოს ჩაის ფაბრიკების საუკეთესო პროდუქციას არაერთხელ დაუმსახურებია უმაღლესი შეფასება თავისებური ფერის, ნაყენისა და არომატისათვის. ჩინებული ხარისხის შავი და მწვანე ბაიხაო, აგრეთვე ფილა ჩაი სულ უფრო მტკიცედ იკავებს წამყვან ადგილს საექსპორტო საქონლის ნიმუშებს შორის. პატარა კოლოფები, რომლებსაც აწერია „ქართული ჩაი", იყიდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბელგიაში, ინგლისში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, მონღოლეთსა და სხვა ქვეყნებში.

საექსპორტოდ იგზავნება განთქმული ქართული თამბაქოც. საქართველოს თამბაქოს მაღალხარისხოვან ნედლეულს იყენებენ საკუპაჟედ — სხვა ჯიშების თამბაქოსაგან დამზადებული სიგარეტისა და პაპიროსის არომატული თვისებების გასაუმჯობესებლად. დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს აგრეთვე საქართველოს თამბაქოს ფაბრიკების მზა პროდუქციაც.

საქართველოს ექსპორტის თავისებური წყაროა ჩვენი შესანიშნავი მინერალური წყლები, რომელთა შორის პირველი ადგილი სამართლიანად ეკუთვნის საქვეყნოდ განთქმულ „ბორჯომს".

საქართველოს სსრ საექსპორტო საქმიანობაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშვენება და სიამაყე — მეღვინეობის პროდუქცია. 1970 წელს ყირიმში გამართულ დეგუსტაციაზე ოქროს ჯილდოები დაიმსახურა ქართულმა ღვინოებმა და კონიაკებმა. საერთაშორისო კონკურს-დათვალიერებათა მედლები და ჯილდოები აღბეჭდილია მრავალი საექსპორტო ქართული ღვინისა და კონიაკის ეტიკეტზე. თავისებური ბუკეტით, გემოს სიფაქიზითა და ჰარმონიულობით გამოირჩევა განთქმული ღვინოები: „წინანდალი" და „გურჯაანი", „მუკუზანი" და „ტიბაანი", „საფერავი" და „კახური", „ქინძმარაული", „ტვიში", „ხვანჭკარა", „ჩხავერი", „ოჯალეში" და სხვა.

ქართული მეღვინეობის განვითარების მაღალი დონის დამადასტურებელი იყო ის ფაქტი, რომ მევენახეთა და მეღვინეთა X საერთაშორისო კონგრესი თბილისში მოეწყო. ამ კონგრესის მონაწილემ, მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს კომიტეტის დირექტორმა ბატონმა პროტენმა მაშინ თქვა:

„თქვენებური ვაზის წვენი თამამად გაუწევს მეტოქეობას მსოფლიოს საუკეთესო ღვინოებს, ჩვენ კარგად ვიცნობთ ქართველ მეღვინეთა შესანიშნავ პროდუქციას", ხოლო მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტმა ბარონ პიერლე რუამ „ქინძმარეულის" მარნის საპატიო სტუმართა წიგნში ჩაწერა: „სიამოვნებით გავატარებდი აქ ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს".

აი ზოგიერთი ძირითადი პუნქტი საქართველოს საექსპორტო მიწოდებათა სასაქონლო ნომენკლატურისა, რომელიც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ასობით დასახელების სხვადასხვა პროდუქციას შეიცავს. რესპუბლიკის 120-ზე მეტი საწარმო და ორგანიზაცია ამზადებს და გზავნის საექსპორტო სასეობათა პროდუქციას, რომელიც რკინიგზით, სანაოსნო და საჰაერო გზებით ვრცელდება დედამიწის ყველა კონტინენტზე.

ალექო შენგელია

შეირეკლ ქართველს

მე წავიკითხე
შენი წერილი,
შენიანებმა მაჩვენეს იგი,
გიგრძენი რაღაც
მწარე ცრემლივით,
შევიცან შენი
დარდი და ფიქრი.
მივხვდი,
თუმცა კი არ იწერები,
სიცოცხლედ გიღირს
ქართული მიწა,
თუმც კი
არ ახლავს წერილს ცრემლები,
მე მასში
დიდი ნაღველი ვიცავ.
დავცქერი აქ შენს
გაცრეცილ სურათს, —
ოცი წლის ბიჭი
მიღიმი ლაღად,
და აქვე ვხედავ
შენს სახეს სრულად —
შენს ვაუკაცს
შენი ღიმილი დაბყვა.
ის სევდიანი,
მიყვება შენზე,
არ ახსოვს ობოლს მამური
სითბო,
და მე დუმილი,
რა ვქნა,
ვერ შევძელ —
ამ ლექსს თან ვატან
მის სევდას თითქოს...
შენი ვენახი
ისევ ვენახობს,
შენი კაკლის ხე
მხრებგაშლილია
უველა ადგილი,
ახლად გენახოს,
სადაც ყოფილხარ,
რაც დაგივლია!
სულ სხვა შუქია,
სხვა ურუანტელი,
ჩვენმა ქვეყანამ,
ილხინა, ძმაო!
უველას გვინთია
სულის ნათელი
და,
ოცნებებში ვიბრძვით და
ვლაღობთ!
აქ, შენს შვილიშვილს,
რომ ვეფერები,
„პაპაო" — მეტყვის,
შეკრთება შემდეგ,
მე მინდა მისი
წმინდა ცრემლები,
სამშობლოსავით
მარად წინ გედგეს.
სოფლის ბოლოში
საფლავებს ძინავთ.
აქ მამაშენის
საფლავსაც ვხედავ,
ანდერძით გვერდით
შენცა გაქვს ბინა,
სამარხს პატრონობს
მოხუცი დედა.
მე წავიკითხე
შენი წერილი,
უბიდან მომცა
დედამ ქალურად,
მართოლვარე ხელით
გამომიწოდა,
ალთქმული სევდად
და სიხარულად...
აქ კარგადა ვართ.
მზეში გამოველ, —
ცნა მეძახის,
ზვრები მელიან,
საქართველოში მზეს რა
გამოლევს...
სხვამდის.

შენი ა. შენგელია.

ბგა აამღერა ოქროს ხელმა



ღელვებდა მუსიკა და მხატვრობა. საათობით შესცქეროდა ბაგრატის ტაძრის მოხატულ თაღებსა და ორნამენტებს. აოცებდა ხაზთა მრავალფეროვნება და ჰარმონია. ხატავდა, ხაზავდა, ხელს ივარჯიშებდა... მერე თითქოს მუსიკამ სძლია, საკუთარ ნაწარმოებებს ჰქმნიდა... ამბობდნენ, კომპოზიტორი გამოვაო, მხატვრობა აღარავის ახსოვდა. და აი არსენ ფოჩხუა თბილისის კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტის სტუდენტია. მაინც ხატავდა... თავს კი არ იქცევდა, ხატავდა... უნდოდა და ხატავდა. ყოველი მუსიკალური ნაწარმოების გადაწერისას მელოდია მშობლიური ქვეყნის წარსულისა თუ აწმყოს სურათებს უცოცხლებდა. მხატვრული ნიჭი კი ნაწარმოების ინტონაციებს ფერადოვანი ორნამენტების რთული ხლართებით ქარგავდა. ვერ მოუძებნიდით ერთიმეორის მსგავს ორ ხაზს!

ორიგინალურმა გრავიურებმა დაამშვენეს სვანური, აჭარული და კახური ხალხური სიმღერების კრებულები. მერე გაკეთა ორი პლაკატი საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავისათვის. ერთი მასობრივი ტირაჟით გამოიცა, მეორე — ექსპონირებული იყო სახვითი ხელოვნების რესპუბლიკურ გამოფენაზე.

ეს ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩა საქართველოს სახალხო მხატვარს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ლადო გუდიაშვილს, რომელიც ჩვეული გულისყურით მოეკიდა ახალგაზრდა შემოქმედ-ორნამენტალისტის გატაცებას. სათუთი ტაქტითა და დაკვირვებული თვალით უტრიალებდა იგი ამ ნიჭიერ ხელოვანს, ურჩევდა, მასთან ერთად არჩევდა და იხილავდა დამთავრებულ ნაწარმოებს. არსენ ფოჩხუას თქმით, გუდიაშვილი გახდა მისი სულიერი მოძღვარი.

ლადო გუდიაშვილი გაგრაში ისვენებდა, ფოჩხუა კი გასტროლებზე იყო ჩასული საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. და აი გაგრის ერთ-ერთ ჯიხურში მათ შემთხვევით ნახეს ქაღალდის საჭრელი ხის უბრალო დანა. ქართული ფერწერის დიდოსტატმა თავისთვის ჩაილაპარაკა — გაფორმება მოუხდებოდაო; ნათქვამი მიზანს მოხვდა. ფოჩხუამ მასალის ძებნა დაიწყო, ხეს შერჩევა უნდოდა. სცადა კაკლის ხე, სადაფი, სპილოს ძვალი, ბოლოს კი აირჩია ბზიფის ხეობაში, პიტალო კლდეზე ნაზარდი და იმ კლდესავით მაგარი, თანაც ნატიფი უნიკალური ბზის ხე, რომელიც დამუშავების შემდეგ ინარჩუნებს თავის ბუნებრივ — სპილოს ძვლის ფერს. დასამუშავებლად ამ ძნელ მასალას დამორჩილება უნდოდა, და ფოჩხუა მუყაითად შეეჭიდა სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ უნიკალურ და ურთულეს უანრს — ხეზე მხატვრულ კვეთას. ჩვენი თანამემამულის სახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ჰიდიდილში მან გაიმარჯვა, რაზეც უტყუარად მეტყველებს მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული უნიკალური ნიმუშები; და ისიც, რომ ის პროფესიონალ მხატვრად აღიარეს და 1960 წელს საკავშირო მხატვართა კავშირის წევრად მიიღეს.

ცოტა ხნის წინათ თბილისის ფერადი ბეჭდვის კომბინატმა მრავალათასიანი ტირაჟით დაბეჭდა ღია ბარათები მისი ნამუშევრების რეპროდუქციებით, რასაც თან ერთვის ანოტაცია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ფოჩხუა მონაწილეა მრავალი რესპუბლიკური თუ საკავშირო გამოფენისა და უველგან ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს მის მიერ ამღერებული ბზა.

რაოდენ დიდი სიყვარულია საჭირო, დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ნებისყოფის სიმტკიცე, განუსაზღვრელი ფანტაზია და მასალის ღრმა შეგრძნება, რომ ფილებად დახეთქილი ბზის ეს მაგარი და უხეში ნაჭერი ესთეტიკური ტკბობის ნატიფ იუველირულ ნიმუშად აქციო და აამღერო.

სადაფის რელიეფური და ბზის ჰორელიეფური ნამუშევრებიდან აღსანიშნავია შოთა რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ბეთჰოვენისა და დანტეს პორტრეტები. რუსთაველის საიუბილეო მინიატურული პორტრეტის სიგრძე 8, ხოლო სიგანე 5 მილიმეტრია. ეს უნიკალური ნაწარმოები შესრულებულია სამკერდე ნიშნად, გულქანდად და ბეჭდად. ოქროსა და ქარვის





სათუთად დამუშავებული ფონი, რომლის ზედაპირზეც სადაფით შესრულებული პოეტია გამოსახული, აძლიერებს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას. ფოჩხუას ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი — ლამაზი ორნამენტებით მდიდარი ბზის დეკორაციული ლარნაკი — დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში; აქვეა სპილოს ძვალზე გამოკვეთილი დავით გურამიშვილისა და სადაფზე ამოჭრილი ორი გოგონას პორტრეტი და სხვა. მის ნამუშევრებს ვხვდებით აგრეთვე საკავშირო და საზღვარგარეთის მუზეუმებში.

მისი აუცილებელი ნამუშევრების შესახებ განსაკუთრებით უნდა ითქვას ერთიც — თავის სფეროში ეს არა მარტო პირველი, არამედ ყოველგვარი უცხოური ელემენტებისაგან გაწმენდილი ეროვნული ორნამენტიკის ნიმუშიც არის.

მომავალი გეგმები? ამჟამად ფოჩხუამ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების საკუთარი ესკიზების მიხედვით დაიწყო ამ უკვდავი ნაწარმოების ბზაში ამეტყველება.

ნაწარმოების ამგვარი დასურათხატება უნიკალური იქნება.

საქმის სიყვარული, ზღვა ენერგია აძლევს ძალას ჰარმონიულად შეუხამოს ერთმანეთს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში მუშაობა, მუსიკალური სასწავლებელი, სადაც იგი ვიოლაზე დაკვრას ასწავლის და პატარა სახელოსნო, რომელშიც ოქროსხელიანი ოსტატი ბზას ამღერებს.

ნადია მეგალიშვილი

• • •

სურათებზე: არსენ ფოჩხუა მუშაობს. ფოჩხუას ნამუშევრები, ბზაში კვეთილობა — „სამაია“, „სიყვარული“.

ირანში ცხოვრობს მინადორა ცხადაძე



ცხრა შვილის მამა იყო დიმიტრი ცხადაძე. სოფელ მეორე სვირში ჩვენი საუკუნის დასაწყისში ცხრა კუჭის საძღომი მჭადის შოვნა კი არა, საკუთარი თავის შენახვაც უჭირდა გლეხკაცსა და, რა გასაკვირია, თუ ვარდენ, ილია, ნინო, ნადეჟდა, სამსონ, მისხეილ, ოლია, მარიამ და ვანო ცხადაძეებმა ფეხი ყანაში აიდგეს.

გადიოდა წლები. წამოიზარდნენ ბავშვები და არსებობისათვის ზრუნვამ ზოგი აღმა, ზოგი დაღმა მიმავალ გზას გაუყენა...

უფროსის მომდევნო ილია 1915 წელს, ვინმე ყარამან კიკნაველიძეს, უცხოელ საქმოსნებს იაფფასიანი მუშახელით რომ ამარაგებდა, ირანში გაჰყვა.

ის დღე იყო და ის დღე, უცხო მხარეში გადახვეწილი 22 წლის ჭაბუკის აღარც ავი ისმოდა და აღარც კარგი.

შინ დარჩენილებისაგან ყველაზე მეტად მისხეილმა იძალა. ვის არ მისწერა, ვის არა სთხოვა, იქნებ ძმა მაპოვნინოთო.

ვინც ეძებს, პოულობსო — სწორედ ამ კაცზეა ნათქვამი. 1934 წელს ირანიდან ცნობა მიიღო, თქვენი ძმა ილია ცხადაძე ცოცხლაა და ოჯახით აქა ცხოვრობსო. ცნობას ძმის წერილიც მოჰყვა, — ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა, თქვენ რომ ხმა მომაწვდინეთო — იწერებოდა მკვდრეთით აღმდგარი ილია. შემდეგ წერილში იტყობინებოდა, ცოლ-შვილს მოვეყიდე, უფროსი ვაჟიშვილი გარდამეცვალა, გოგონა კი ღვთის წყალობით შეზრდება, რომელსაც დედის პატივსაცემად მინადორა დავარქვიო.

ირანიდან მეორე სვირში მოსული



უკანასკნელი ბარათი 1959 წლის 15 დეკემბრით არის დათარიღებული. მინადორა ახალი, 1960 წლის დადგომას ულოცავდა ქართველ ბებიასა და პაპას, ბიძებსა და მამიდებს, ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს.

მაგრამ კვლავ ყველაფერი ბურუსმა მოიცვა — გაურკვეველი მიზეზების გამო შეწყდა წერილები ირანიდან. და აი, ეხლა ჩვენ მოგვმართა თხოვნით მისხეილ ცხადაძემ: იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით მომაძებნინოთო ძმა და ძმისწული, თან იქვე დასძინა — ჩემი ძმა შეიძლება ცოცხალიც აღარ იყოს, მაგრამ მინადორა, რომელიც ესე ამაყობდა თავისი ქართველობით, ალბათ, ისევ ირანში ცხოვრობს და მინდა მამის სამშობლოს სითბო და სიყვარული არ მოაკლდესო.

სურათებზე, რომელსაც ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ, ილია ცხადაძე და მისი ქალიშვილი მინადორა არიან აღბეჭდილი. მინადორამ, მართალია, ქართული წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ, ვფიქრობთ, მის გარშემო მყოფი ქართველები არ დაიზარებენ უთხრან ჩვენს თანამემამულეს, რომ საქართველოში მცხოვრები მისი პაპის დიმიტრი ცხადაძის შვილები, შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები მოკითხვას უთვლიან და მისგან გამოგზავნილ წერილს ელოდებიან, რომ იგი მრავალრიცხოვან ნათესავებს საკუთარ სისხლად და ხორცად მიაჩნიათ, და რომ წერილი კვლავ ძველი მისამართით გამოგზავნოს — საქართველოს სსრ, ზესტაფონის რაიონი, სოფელი მეორე სვირი, მიხეილ დიმიტრის ძე ცხადაძეს.


მარტიროს სარიანი

5 მაისს ერევანში 93 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი მარტიროს სარიანი.

გარდაიცვალა სომეხი ხალხის სასიქადულო შვილი, დიდი ბუნებისა და მაღალი სულის ადამიანი. განუმეორებელი, უდიდესი ტალანტის მხატვარი პოეტურად ქმღერდა სიკეთეს, სილამაზეს, ბედნიერებას, თანამედროვე სინამდვილეს, სიმართლითა და შთაგონებით ასახავდა ცხოვრების მოვლენებს. ყველაფერი, რაც მშვენიერია ქვეყნად, მარტიროს სარიანის ფორმით ღრმად ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური შემოქმედების თემა იყო და ადამიანს დიდ სიხარულს ანიჭებდა.

ნათელი და გარკვეული იყო სარიანის გზა ხელოვნებაში. არასოდეს ჰქონია გადახვევა და იმედგაცრუება. თავიდანვე მიაგნო თავის მანერას, განსაკუთრებულ სტილს, რომელსაც შემდეგში მხოლოდ აღრმავებდა და სრულყოფდა.

უაღრესად პატიოსან მხატვარს სიცოცხლეში ერთხელაც არ უღალატია თავისი მოწოდებისათვის, ხელი არ მოუკიდია რაიმე ისეთის შესრულებისათვის, რაც მისი ნიჭის მიმართულებას არ შეესაბამებოდა. იგი, თუ შეიძლება ითქვას, მუდამ თავისი ხმით მღეროდა, გულისა და სულის ახალგაზრდობით გვატკბობდა...



ბევრი მეგობარი ჰყავდა მარტიროს სარიანს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, საქართველოშიც. იგი დიდ ინტერესს იჩენდა ქართველი მხატვრების შემოქმედებისადმი, ხელს უწყობდა ჩვენი მეგობრული კონტაქტების დამყარებას.

სახელი მისი უკვდავია, მისი ცოცხალი და შთაგონებული ხელოვნება კი, საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის მშვენებაა.

უჩა ჯაფარიძე,
საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი.

ია-ვარდიმც გფენიათ მარად!

ჩვენი ნონა!

ნონა გაფრინდაშვილისა და ალა კუშნირის მატჩი, რომელიც რიგაში მიმდინარეობს ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე, დიდ ინტერესს იწვევს. მსოფლიოს უძლიერესნი მესამედ ხვდებიან ერთმანეთს, რათა კიდევ ერთხელ დაადგინონ — რომელია მჯობნის მჯობნი. წინა ორ შეხვედრაში ნონამ ადვილად დაჯაბნა მეტოქე და თბილისში მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინით დაგვიბრუნდა. ქართველი მოჭადრაკე დღესაც ახარებს თაყვანისმცემელთ. სადღეისოდ გათამაშებულია ექვსი პარტია და ანგარიშია 4,5:1,5 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. როგორც უნდა დამთავრდეს ეს კეთილშობილური პაექრობა, დედოფლის გვირგვინი საბჭოთა კავშირიდან არსად გავა.



სურათზე: ნონამ კვლავ დააშამათა მეტოქე.



სურათზე: შეტევაზეა მიხეილ ქორქია.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

უძლიერესი ევროპაში

საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა ძალოსანმა დიტო შანიძემ ბრწყინვალედ იასპარეზა რუმინეთში გამართულ ევროპის პირველობაზე. მან პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული ქვემსუბუქ წონაში საკმაოდ მაღალი შედეგით — 395 კილოგრამი და ჩვენს შტანგისტებს რვა წლის წინათ დაკარგული პირველობა დაუბრუნა. ცალკეულ სახეობებში გამოსვლისათვის ქართველმა ძალოსანმა ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიკუთრა. დამატებითი ცდის დროს კი აკვრაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა და დღეიდან იგი 156 კილოგრამს უდრის.


დიტო შანიძე წელს პირველად გამოემშვიდობა „საერთაშორისო ასპარეზზე მარად ვერცხლის მფლობელის“ რეპუტაციას და გამარჯვებუის უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდა.

ლიდერი

ბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები რვა ტურის შემდეგ 13 ქულით პირველ ადგილზე არიან. უკანასკნელი სამი თამაში ქართველმა სპორტსმენებთავიანთ მოედანზე გამართეს და სამივეჯერ გაიმარჯვეს: 1:0 დაამარცხეს „ნეფთჩი“. შემდეგ როსტოვის არმიელებს შეხვდნენ. თამაშის პირველსავე წუთებში მცველებისა და მეკარის შეუთანხმებლობით ბურთი „დინამოს“ ბადეში მოხვდა. გაშვებულმა გოლმა აღაგზნო მასპინძლები და როსტოველთა კარი ჯერ დალაშქრეს.

10 მაისს ჩვენმა „დინამომ“ ვოროშილოვგრადის „ზარიას“ უმასპინძლა. ლისელებთან შეხვედრამდე „ზარიამ“ არ იცოდა რა იყო მარცხი. საბჭოთა ირის პირველობის ერთპიროვნული ლიდერი ამჯერადაც კარგად თამაშობმაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა.

რველ ტაიმში ერთ-ერთი ლამაზი კომბინაცია გივი ნოდიას გატანილი გოდამთავრდა. შესვენების შემდეგ სტუმრებმა შეძლეს საპასუხო ბურთის ნა, მაგრამ თამაშის მიწურულს კახი ასათიანის ბრწყინვალედ გატანილმა მა შეხვედრა თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ გამარჯვების შემლიდერობა „ზარიამ“ თბილისის „დინამოს“ დაუთმო. 29 მაისს თბილისეერევანში ადგილობრივ „არარატს“ შეხვდებიან.



სურათზე: გარღვევაზეა თბილისის „დინამოს“ ბომბარდირი ვი ნოდია.

მემკვიდრე...

ქალთაბურთის მოყვარული, სადაურიც არ უნდა იყოს იგი, საბჭოთა კალათბურთის უყველა დროის იდეალურ ნაკრებში უთუოდ დაასახელებს თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კალათბურთელთა ნაკრების უცვლელ კაპიტანს, მსოფლიო კალათბურთის სახიჭადულო ვეტერანს — ოთარ ჭორქიას. დიახ, „ულვაშებიანი ჯენტლმენი“ (როგორც მას კამპოჯაში მწვრთნელად მუშაობის დროს შეარქვეს) საბჭოთა კავშირის კალათბურთის სიამაყე იყო და დარჩა.

კალათბურთელს, ვიზეც სიტყვას ჩამოვაგდებთ, სიყმაწვილეშივე შეეტყო, ჭორქიების გვარის მადლი...

მიხეილი კალათბურთელთა ოჯახში იზრდებოდა, მამა, შოთა ჭორქია ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელად ითვლებოდა ქუთაისში, ბიძა, ოთარ ჭორქია კი — მსოფლიოში. ბიჭიც, თანატოლებში თავდაპირველად მხოლოდ სიმაღლით რომ გამოირჩეოდა, მამისა და ბიძის კვალს გაჰყვა...

მიხეილის პირველი მწვრთნელი იყო სულიკო თორთლაძე, რომელმაც 12 წლის ბავშვთან შეხვედრისთანავე იგრძნო, რომ კაცი გვარზე ხტოდა და ბავშვს ტრიუმფი უწინასწარმეტყველა. შვიდიოდე წლის შემდეგ გამოცდილი მწვრთნელის წინასწარმეტყველება გამართლდა — 1966 წელს მიხეილ ჭორქიამ ანატოლი პოლივოდას, სერგეი კოვალენკოს, ანატოლი კრიკუნისა და სხვების მხარდამხარ ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მიხეილი თბილისის „დინამოში“ ჩარიცხეს, თუმცა ძირითად შემადგენლობაში კალათბურთის მოყვარულებმა იგი 1968 წელს იხილეს. ამ ფაქტის შესახებ თვითონ მიხეილი ამბობს: ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ორი წელიწადი დიდ დროდ არ მიმაჩნია, რადგან ეს ის გუნდია, რომელშიც თამაშობდნენ ოთარ ჭორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ლევან ინწკირველი, გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი...

მართალია, ჩვენი კალათბურთელების წარმატებებს წარუმატებლობაც ახლდა, მაგრამ მიხეილი ყოველთვის ერთნაირი შემართებით თამაშობს. ამ სპორტსმენში ბუნებრივ ნიჭთან ერთად თავი მოიყარა დიდი კალათბურთელისათვის დამახასიათებელმა თვისებებმა — შრომისმოყვარეობამ, ფიზიკურმა ძალამ, სისწრაფემ და შედეგიანობამ.

წელს ჩვენმა „დინამომ“ მხოლოდ ცალკეულ თამაშებში იმარჯვა, მეოთხე ადგილი კი რომელიც ხაკავშირო პირველობაზე მოიპოვა, ვერაფერი წარმატებაა. ერთადერთი, რაც გვესახელება, მიხეილ ჭორქიას კარგი თამაშია. მიხეილმა ჩვენი ქვეყნის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელის სახელი მოიპოვა. გარდა ამისა, ჭორქიების გვარის ღირსეულმა გამგრძელებელმა, კიევის „სტროიტელთან“ თამაშის დროს, გუნდს 52 ქულა(!) შესძინა და ამით ქვეყნის რეკორდი დაამყარა. მსგავსი შედეგისათვის ერთ მატჩში არცერთ საბჭოთა კალათბურთელს არ მიუღწევია.

მიხეილ ჭორქიას სპორტულ ტალანტში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა საქართველოს ნაკრები ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურ ნაკრებს შეხვდა. მართალია, შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს, მაგრამ ყველაზე დიდი ქება მაინც თბილისელთა თავდამსხმელმა მიხეილ ჭორქიამ დაიმსახურა. ჭორქიამ თავის გუნდს 31 ქულა შესძინა, მეტიც — თავისი თამაშის სტილით, ბრძოლისუნარიანობით, ტექნიკით არა თუ უტოლდებოდა ამერიკელებს, არამედ სჯობნიდა კიდეც. აი რას წერდა ამა წლის 7 მაისს სპორტის სასახლეში გამართულ ამ მატჩის შესახებ ერთ-ერთი სპორტული მიშმხილველი: „ამერიკელები ფარჩვეშ ბრძოლაში შეუდარებლები იყვნენ, მაგრამ გამოჩნდა ტალანტი, რომელმაც მათს ფიზიკურ შესაძლებლობებს გადააჭარბა. მე მხედველობაში მყავს მიხეილ ჭორქია, რომელიც ხშირად მარტო უმკლავდებოდა ფარზე აზვინულ სამ-ოთხ ამერიკელს...“

საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი მიხეილ ჭორქია ეხლა მოუწხენის ბატალიებისათვის ემზადება. წარმატება ვუსურვოთ 24 წლის მიხეილ ჭორქიას, რომელსაც წინ ბევრი თამაში უდევს და რომელიც ბევრჯერ გაახარებს კალათბურთის მოყვარულებს ჩვენში თუ უცხოეთში მარტოოდენ ჭორქიების გვარისათვის დამახასიათებელი ვირტუოზობით და ნურავის გაუკვირდება თუ მომავალში ტრადიციულ კითხვაზე — დაასახელეთ უყველა დროის ხუთი საუკეთესო საბჭოთა კალათბურთელი, მწვრთნელებმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა თავიანთ ვარიანტში ოთარ ჭორქიასთან ერთად მიხეილ ჭორქიაც მოიხსენიონ...

რევაზ მაჭავარიანი

კვლავ მეტრეველი

ოცდაათზე მეტმა ქვეყანამ გამოიყვანა თავიანთი წარმომადგენლები დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში. საბჭოთა ჩოგბურთელთა პირველი მეტოქენი ამ პოპულარულ ტურნირში, მსოფლიოს გუნდურ პირველობად რომ არის აღიარებული, უნგრელები იყვნენ.

მატჩი რამდენიმე დღის წინ თბილისის კორტზე გაიმართა და გუნდის ლიდერის ალექსანდრე მეტრეველის ბრწყინვალე თამაშში რომ არა...

პირველი დღე დაეთმო ერთეულთა ასპარეზობას — პირისპირ დადგნენ მოსკოველი ვასილ კოროტკოვი და უნგრელი სიოკე. სტუმრის მძლავრ შეტევებს ჩვენმა ჩოგბურთელმა ვერაფერი დაუპირისპირა და დამარცხდა. მსაჯებმა საასპარეზოდ ალექსანდრე მეტრეველი და უნგრელი ბარანი იხმეს. მეტრეველმა, როგორც იტყვიან, მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა და საბჭოთა გუნდს პირველი ქულა მოუტანა 1:1.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წყვილთა ასპარეზობას. მეტრეველი-ლიხაჩოვი — ბარანი-სიოკე. მეტრეველი ამჯერადაც შეუდარებელი იყო, პარტნიორს ლიხაჩოვიც აჰყვა და შეხვედრაც საბჭოთა წყვილმა მოიგო.


მეორე დღეს ანგარიში კვლავ გათანაბრდა. კოროტკოვმა, რომელიც ბარანის ხვდებოდა, დამარცხებულმა დასტოვა მოედანი. უყველაფერი დამოკიდებული იყო მეტრეველსა და სიოკეს შეხვედრაზე. და აი, ქართველმა ჩოგბურთელმა არ გაუწბილა მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი. იგი ამ შეხვედრაშიც კორტის ბატონ-პატრონი იყო. საინტერესო მატჩი ანგარიშით 3:2 მოიგეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა.

უნგრელებთან მატჩის დამთავრების მეორე დღეს თბილისის „დინამოს“ კორტები ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელებს დაეთმო. თბილისელთათვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ტურნირის ვაუთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თანამემამულენი ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია. როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესის სახელი ამჯერადაც ალექსანდრე მეტრეველს დარჩა.

დედაენა

საჩვენარგარეთულ თანამემამულეთათვის
შედგენილი გალურიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" მიხედვით

გაკვეთილი 19




სიდი
სი-დი
ს ი დ ი
დ

დე-და. ბუ-დე. და-ფა. რა-დი-ო. დი-დი.

თედომ დიდი სიდი ააგო. დედა დათოს საუზმეს უმზადებს. ზაზა დაფას ასუფთავებს.

ჩიორამ ბუდე გაიკეთა. ჩემმა დამ რადიო ჩართო.



გაკვეთილი 20




ღამურა
ღა-მუ-რა
ღ ა მ უ რ ა
ღ

ბა-ღი. ღო-ბე. ბე-ღუ-რა მღე-რის.

ღამურას ღამით ღვიძავს. ბეღურა ღობეზე ზის. მზია რადიოში მღერის.

დათვი ორმოში ჩავარდა. ბაღში კომშის ხეებია. ზურაბი სარდაფში ჩავიდა.

მმა მმისთვისაო — შავი დღისთვისაო.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ ქართული ენა!

შოთა მესხია



ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1945 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა მესხია.

ჩვენს რიგებს უდროოდ გამოაკლდა ქართული ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, აკადემიკოსების ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ღირსეული მოწაფე.

შოთა მესხია დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. ზუგდიდის სატყეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1933 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1937 წელს. 1941-1942 წლებში შოთა მესხია მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და მედლებით.

1942 წელს შოთა მესხიამ მუშაობა დაიწყო მეცნიერ-თანამშრომლად აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, სადაც იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1951-1953 წლებში შოთა მესხია მივლინებული იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში, სადაც 1955 წლის იანვარში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში".

1956 წელს შოთა მესხია აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ. 1961 წლიდან იგი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანია. 1967 წელს შოთა მესხია აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იმავე წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

უკანასკნელ ხანებში შოთა მესხია იკვლევდა X-XIII საუკუნების საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის რთულ საკითხებს, ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ფეოდალური საქართველოს ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტს, როგორიც იყო დიდგორის ბრძოლა, რომლითაც სრულყოფილად გააშუქა დავით აღმაშენებლის ეპოქის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში შოთა მესხია მუშაობდა თამარის ეპოქის საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

მრავალმხრივ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად შოთა მესხია ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას — იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, არაერთი სხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული ისტორიის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე და სხვა.

პროფესორი შოთა მესხია იყო ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი, უანგაროდ გვიზიარებდა ცოდნასა და გამოცდილებას.

პრინციპულობა მეცნიერულ მოღვაწეობაში, თავმდაბლობა და დიდი გულისხმიერება ადამიანებთან დამოკიდებულებაში — აი ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარი შოთა მესხია, რომლის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველ მეცნიერთა, მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა და მეგობრების გულში.

ორმოცდაშვიდე

აუხვევთ თუ არა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან, ქვის ფართო ფილებით მოკირწყლულ ქუჩაზე აღმოჩნდებით. წერწეტა ხაძვებით დამშვენებული ქუჩა აღმართს მიჰყვება და მთაწმინდას ებჯინება. დღეს იგი ქართველი რევოლუციონერის — შიო ჩიტაძის სახელს ატარებს, წარსულში კი ერმოლოვის სახელი ერქვა.

სწორედ ერმოლოვის ქუჩაზე, ორსართულიან შენობაში ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გახსნა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. აქ თავადაზნაურთა და ოფიცერთა ქალიშვილებს ღებულობდნენ. სასწავლებელთან იყო პანსიონი. ეზოში რელიგიურად შემორჩენილა გუმბათიანი ნაგებობა, სადაც სრულდებოდა რელიგიური რიტუალები.

გადიოდა დრო, იცვლებოდნენ მოსწავლეთა და პედაგოგთა თაობები. ვინ მოთვლის, რამდენ შესანიშნავ მოღვაწეს, საქმის კარგ მცოდნეს აუდგამს ფეხი ამ ძველ კედლებში. მაგალითისათვის ქართული მუსიკის ჯადოქარი ზაქარია ფალიაშვილი და ქართული საბჭოთა მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი ანდრია რაზმაძეც კმარა.

1954 წლიდან იგი თბილისის 47-ე საშუალო სკოლად იწოდება, ზოგჯერ კი ინგლისურსაც უწოდებენ, რადგან აქ ამ უცხო ენის გაძლიერებული სწავლებაა. დანარჩენით კი 47-ე სკოლა ჩვეულებრივი სკოლაა, სადაც ყველა სასკოლო დისციპლინა მშობლიურ ენაზე ისწავლება. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის დიდებული ლაბორატორიები.

შესანიშნავად არის მოწყობილი ფონტეტიკის კაბინეტი. კაბინეტს აქვს ჩამწერი მიკროფონები ყურმილებით და პულტის მოწყობილობით. ინგლისური ენის სწავლებას ხელმძღვანელობს გამოცდილი მასწავლებელი თინათინ გეგეჭკორი.

მთავარი მაინც მშობლიური ენის შესწავლაა. ქართული ენის სიწმინდის, სწორი მეტყველების და წერის კულტურის შესისხორცებისათვის იღწვიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

სკოლაში არსებობს ლიტერატურული წრე და სალონი, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ბორის კანდელაკი. სალონის კედლებს ამშვენებს სტენდები, კედლის გაზეთები.

დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასაც — ჯანსაღი სხეული ხომ აუცილებელია ნაყოფიერი შრომისა და სწავლისათვის.

ოქტომბერში სკოლას არსებობის 125 წლისთავი შეუსრულდება. საიუბილეო სამზადისს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თამარ ჩიხლაძე. მაისი მიიწურა და პატივცემული თამარი და მისი მეგობრები წლიურ მოსავალს იმკიან. ერთი თვეც და კიდევ ერთი თაობა გამოეთხოვება მშობლიურ სკოლას.

მირანდუხტ იმნაიშვილი

დაბეჭდენ, ჰოგელიან

დიმიტრი ერმილეს ძე ხუხუნაიშვილს,

დაბადებულს 1914 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთში, ეძებენ დედა — **ბუბუჟი,** მამა — **ერმილე ხუხუნაიშვილები,** მცხოვრებნი სოფელ ზემო აკეთში.

გიორგი თედორეს ძე კვერნაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ქალაქ გორში, ეძებენ დედა — **ოლღა,** დები — **მანია, თინა,** ძმები — **ზაზა, აბესალომ კვერნაძეები,** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, III მასივი, ჯავახეთის ქუჩა, კორპუსი 3ა, ბინა 50.

ძმებს, მიხეილ და გიორგი ვასილის ძე კოკალეიშვილებს,

დაბადებულთ 1914 და 1918 წლებში, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში, ეძებს და — **ზინა კოკალეიშვილი,** მცხოვრები ქალაქ ბათუმში, ლუქსემბურგის ქუჩა № 12.

პლატონ ფილიპეს ძე სიმონიას,

დაბადებულს 1906 წელს აბაშის რაიონის სოფელ განკარაში, ეძებენ შვილი — **გიზო,** რძალი — **იზოლდა,** შვილიშვილები — **პლატონ** და **ინეზა სიმონიები,** მცხოვრებნი თბილისში, სანაპიროს ქუჩა № 22ა, I სადარბაზო, ბინა № 20.

სერგო ფილიპეს ძე ხეცურიანს,

დაბადებულს 1919 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაში, ეძებენ დედა — **ივდითი,** ბიძა — **მეთოდე ხეცურიანი,** ბიძაშვილი — **აბიბო მეთოდეს ძე,** ბიძა — **ალექსანდრე გორგასლიძე,** ბიძაშვილი — **გივი გორგასლიძე,** მცხოვრებნი სოფელ ლაილაში.

პანტელეიმონ რაჟდენის ძე გობრონიძეს,

დაბადებულს 1917 წელს მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუში, ეძებენ მეუღლე — **თამარ,** შვილები — **ლოლიკა, დურმიშხან გობრონიძეები,** მცხოვრებნი სოფელ დვაბზუში.

ვლადიმერ ლავრენტის ძე სტურუას,

დაბადებულს 1910 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ხუნჯულაურში, ეძებენ მეუღლე — **გალინა,** შვილები — **ნუნუ, შოთა, ოთარ,** ძმები — **სერგო** და **გეორგ სტურუები,** მცხოვრებნი სოფელ ხუნჯულაურში.

დავით მიხეილის ძე შეჟლაშვილს,

დაბადებულს 1920 წელს საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში, ეძებენ და — **ვერა,** დისწული — **ნათელა იაკობაშვილები,** მცხოვრებნი საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში.

რედაქტორი გივი ძარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.